პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (19794) ოთხშაბათი, 4 მარტი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საკლესიის ცნობა

ორგიტის ახალი ამბები

ფრენის მართვის ცენტრი, 3 მარტი. კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი განაგრძობენ დაგეგმილ მუშაობას „მირ“ ორბიტულ კომპლექსში.

გასული დღეების ფრენის პროგრამა შეიცავდა ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და გეოფიზიკურ ექსპერიმენტებს, აგრეთვე სარეგლამენტო პროფილაქტიკურ ოპერაციებს სადგურში.

დღევანდელი დღის განრიგით გათვალისწინებულია ეკიპაჟის მორიგი სამედიცინო გამოკვლევა. მოეწყობა, კერძოდ, კოსმონავტთა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შეფასება და მთელი რიგი სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები.

გრძელდება კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით გათვალისწინებული ექსპერიმენტები. ექსპერიმენტის „თავთავის“ მიზანია უწონობის პირობებში აეროზოლების სტრუქტურული წარმოქმნის დინამიკის გამოკვლევა.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა დავალებით კოსმონავტები მოაწყობენ ვიზუალურ დაკვირვებათა კიდევ რამდენიმე სერიას და გადაუღებენ ფოტოებს დედამიწის ზედაპირის ცალკეულ რაიონებს.

„მირ“ პოლიტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისწავლოთ ვაჭრობა!

ᲙᲙᲙ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ, თუ ვერ შევძლებთ ბაზრის სხვადასხვა სახეობის საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფას, გადაუწყვეტები დაგვრჩება ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ამოცანა. სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად არის გამიზნული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამა.

მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უფრო სწრაფი ტემპით უნდა უზრუნველყოთ მოხმარების საგნების წარმოება, საცალო საქონელბრუნვა, საგრძნობლად გავაუმჯობესოთ ვაჭრობის ორგანიზაცია და საზოგადოებრივი კვება. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისპროპორციის აღმოსაფხვრელად.

ეკონომიკა, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, — ეს არის უნარი, რომ საზოგადოების ცხოვრების მასშტაბური, კარდინალური პრობლემების გადაჭრა შეეფუძნოთ იმ მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ხალხს აწუხებს.

ᲐᲮᲚᲐ, სოციალური სფეროს საკითხებიდან, რომლებიც პრაქტიკულად ყველა ჩვენგანს აღელვებს, ერთ-ერთი უპირველესი სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვის აუცილებლობას, ვაჭრობაში სრული წესრიგის დამყარებას.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაზრდელად, მისი ასორტიმენტის გასაფართოებლად, საამისოდ რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის შესასრულებლად ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი.

მაღაზიის დახლებზე კვლავ ვერ ნახავთ ისეთ საქონელს, რომლის ფაფარდება თავისუფლად შეიძლება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში. დიახ, შეიძლება, მაგრამ ამისათვის ნაკლებად, ხშირად კი საერთოდ არ ზრუნავენ, არ იგრძნობა ამ საქმეში ძიება, ინიციატივა, მოწინავე გამოცდილების დანერგვა. ᲧᲣᲠᲝᲕᲜᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲘᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ, ᲕᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲘᲛᲪᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲓᲘᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

პარტიული ცხოვრება: შენი ახალგაზრდა. მეგობარი

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის უმთავრესი რგოლია

ხულ ორიოდე დღეღა დარჩა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის გახსნამდე. საქართველო ქალაქებისა და ქალაქისშემოგარენის ახალგაზრდობა ინტენსიურად ემზადებოდა ამ ფასეულ შეხვედრისთვის. ეს ბუნებრივია, ეს ბუნებრივია, ეს ბუნებრივია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲮᲔᲕᲡ

ᲤᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „ზამთარში არ უნდა გვცივდეს“ მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრი გვწერს თავის გულისტკივილს. ეს იმის ნიშანია, რომ ადგილებზე მთლად კარგად არ გვქონია საქმე. წელს არცთუ ცოტა ოჯახი ყოფილა გათბობისა თუ ცხელი წყლის გარეშე.

აი, რას გვწერს დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, ქუთაისის ბუკოვის ქუჩის № 13/31-ში მცხოვრები ვლადიმერ კვირნაძე:

ბუკის ქუჩაზე ავტოქარხნის დასახლების მობინადრეთა თბომომსახურება დამაკმაყოფილებელი ვერ არის. ამ ქუჩაზე ოცამდე ვრავალსართულიანი შენობაა, მაგრამ მათი შესახლების დღიდან ნორმალურად არც ერთი არ გამთბარა, უფრო მეტიც, ზზირად ბატარეები გაყინულია. ჩვენ ცხელი წყლის პრეტენზია აღარა გვაქვს, მისთვის მილები თავიდანვე დაამონტაჟეს, მაგრამ დღემდე უქმადაა, ცხელი წყალი ჯერ არ შიგვიღია.

ჩვენი გასაჭირი მრავალჯერ ვაცნობეთ ავტოქარხნის ადმინისტრაციას, პარტიულ კომიტეტს, ასევე ქალაქის აღმასკომს.

ივანე გაფრინდაშვილის კორესპონდენციია კი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ანალიზებს რა გარემოებას, საყურადღებო დასკვნებს გვთავაზობს.

— ათი წელია ვცხოვრობ ჰიაფურის ტალინის ქუჩის № 106-ში, — გვწერს ი. გაფრინდაშვილი, — და ამ ხნის მანძილზე გათბობა თითქმის არ გვქონია, ფულს იძულებითაც კი გვაწდენენენენ. ზემდგომ ორგანოებში მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია. საკვირველია ხელმძღვანელთა უყურადღებობა და იმის გაუთვალისწინებლობა, რომ ამით არა მარტო ჩვენ, არამედ სახელმწიფოც ზარალობს. სიცივე გვაიძულებს დღედაღამ ვხარჯოთ ელექტროენერგია, თვე-ნახევარში 70 მანეთამდე აღწევს მისი გადასახადი. მაგრამ თხოვნას, არა თუ შედეგი, პასუხიც არ მოჰყოლია. გათბობის ქირას კი შესახლების დღიდან პატიოსნად ვიხდით. ასეთი უყურადღებობის გამო დიდი გუდისტკივილით ვწერ ამ სტრიქონებს.

უარეს მდგომარეობაში ყოფილა რუსთავის 21-ე მიკრორაიონის № 11 სახლის 53-ე ბინაში მცხოვრები, ასევე სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი ვასილ ბიბილაშვილიც. იგი, თურმე, 1980 წელს შესახლებულა ამ ბინაში და ცუდი გათბობის გამო ზამთარში შინ ვერ ჩერდება. ხან თბილისში ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში წევს, ხანაც პირველ საავადმყოფოში თუ სხვაგან, რომ არ გაიყინოს. დაპირებას შეუცდენია და წელს შინ დარჩენილა, მაგრამ უხეირო გათბობის გამო ფილტვების ანთებით გამზდარა ავად და სამი კვირა უავადყოფია.

ცხადია, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. მობინადრეთა გასაჭირს უნდა მიხედონ აღნიშნული ქალაქების საბჭოების აღმასკომებმა, მათმა შესაბამისმა სამსახურებმა, არც საქართველოს სსრ სამინაოკომუნალური მეურნეობის სამინისტრო უნდა დარჩეს გულგრილი.

თბილისს ბუნება სწყალობს და წელს მკაცრი ზამთარი ჯერ არ სწვევია, მაგრამ ამით თავის დამშვიდება არ შეიძლება, რადგან კაცმა არ იცის, მისი სუსხი როდის გვიწევს. ბუნებამ წყალობაც იცის და გამეტებაც, ზამთარს შეუძლია ბოლოსაც მოიქნიოს კუდი. ამ უკიდურესობისთვის თბომეურნეობის სამსახურები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ.

გაცხადებათა ერთი ნაწილი, რომლებიც ადრე მივიღეთ, გადაეგზავნეთ თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს, ოპერატიული ჩარევის შედეგად ნაკლოვანებები გამოასწორეს, რისთვისაც მობინადრეები ემადლიერებიან რედაქციასაც და თბომეურნეობის სამმართველოსაც, მაგრამ ბევრი კვლავ უამაყოფილებს გამოთქვამს. მაგალითად, თბილისის ვაჟა-ფშაველას პროსპექტის № 36 სახლის მე-6 სადარბაზოს მე-100 ბინაში მცხოვრები სამამულო ომის ვეტერანი გიორგი ხაჩიძე გვწერს, რომ მთელი ზამთარი გათბობა არ ჰქონია, № 18 საქმაბის ხელმძღვანელობა კი უყურადღებოდ ტოვებს მის განცხადებას.

ასეთივე ხასიათის კოლექტიური საჩივრები გამოგზავნეს ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მე-2 კვარტალის 29-ე კორპუსის მობინადრეებმა, იმავე ქუჩის № 39ა სახლის მე-18 ბინაში მცხოვრებმა, კომპოზიტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა ლ. ხაფავამ, ხოლო მშვიდობის გამზირის № 24 სახლის I და II სადარბაზოების მცხოვრებთათვის ჯერაც არ ჩაუთავთ გათბობა. ცხელი წყლისა და გათბობის უქონლობის უჩივიან კეკელიძის ქუჩის № 25 სახლის VIII სადარბაზოს 171-ე ბინაში მცხოვრები ი. ბაგოშიძე და ნუკუბიძის პლატოს IV მიკრორაიონის 25-ე კორპუსის მობინადრე მ. კურატაშვილი.

ვარკეთილის მასივიდან გამოგზავნილი თითქმის ყველა განცხადება კოლექტიურია. არ თბება მთელი სახლები და სადარბაზოები, ენერგიდან ცხელი წყალი: ვარკეთილის მასივის მეათე კვარტალის მეოცე კორპუსის მცხოვრებთ, მეორე რიგის მეოთხე მიკრორაიონის მე-13 და მე-8 კორპუსების მობინადრეებს, ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მეორე მიკრორაიონის მე-17 კორპუსის მცხოვრებთ და სხვა.

თბილისის მისამართები სხვაც ბევრი გვაქვს, მაგალითად, პლეხანოვის ქუჩის № 93 სახლის მობინადრეები ა. გიგაური და სხვები გვწერენ, რომ ხუთი წელია არა აქვთ ცხელი წყალი და საშველი არ დაადგა ამ საქმის მოწესრიგებას. წლების განმავლობაში გაუთბობლად ატარებს ზამთარს დავითაშვილის ქუჩის № 1 სახლში მცხოვრები, მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდი ლიდა დათიაშვილი. მისამართები კიდევ გვაქვს, მაგრამ აქ ყველას ჩამოთვლას არ შეეუდგებით. როგორც ფაქტები ადასტურებს, რესპუბლიკის ქალაქებსა და ასევე თბილისში გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების საქმე ბევრგან არის მოსაგვარებელი. თავს ნურავინ დაიმშვიდებს იმით, თითქოს ზამთარი უკვე გავიდა. ჯერ კიდევ თბომომარაგების სეზონია და მოსახლეობას არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება, მივაწოდოთ ცხელი წყალიცა და სითბოც. თუ სადმე ხარვეზია, დროულად მოვაწესრიგოთ, უგულისყუროდ არ დავტოვოთ არც ერთი განცხადება, არ უნდა დაგვიგვიწყდეს, რომ გარდაქმნის სტრატეგია სოციალური საკითხების ყოველმხრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

ნ. ᲜᲝᲠᲐᲙᲘᲫᲔ.

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ №3

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი მესამე ნომერი.

ანშლაგით „რაც ყრილობამ დაგვისახა“ დაბეჭდილია მეთაური წერილი — პარტიის რაიონული კომიტეტი და გაზეთი.

რუბრიკით „მთავარი სიმდიდრე ადამიანშია“ გამოქვეყნებულია ო. ხუციშვილი — შეეხე გულის სიმებს.

განყოფილებაში „მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი“ თქვენ გაეცნობით ს. ნარიმანიძის ლექსს — სულ ასე მტკიცედ, ვეტერანებო!

ანშლაგით „მარადიული თანამედროვე“ გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი უზბეკეთის სახალხო მწერლის კ. იაშენის წერილი — ნათლად ადგას კაცობრიობის ხსოვნას.

რუბრიკით „მეგობრების გამოცდილება“ ჟურნალი ბეჭდავს საკდესის ბერლინელი კორესპონდენტის ს. რიაბიკინის — სერვისი... კერძო ბინაში.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი, „კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა“! „ყური მიუგდე ამ ციფრებს“; „გვეხმაურებიან“; „პოლიტიკური განათლება“; „წიგნის თარო“; „ამ ტრიალ ქვეყანაზე“; „გვეკითხებიან, განმარტებას ითხოვენ“; „გვწერენ, შენიშნავენ, ამხილებენ“; „კარაბადინი“; „სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან“; „ბერა-ალაია“; „ნარდი ბედია, ჭადრაკი — ჭკუა“; „ხუმრობა იქით იყოს“.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ

ᲕᲔᲜᲐ. აქ, უნგრეთის საელჩოში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა და ნატოს წარმომადგენელთა შეხვედრა ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხებზე მომდინარე არაოფიციალური კონსულტაციების ფარგლებში. სოციალისტურ ქვეყნებს წარმომადგენლობდნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ვენის შეხვედრაზე წარგზავნილი დელეგაციების მეთაურები და წევრები.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲓᲐᲓᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲘᲡᲚᲐᲛᲑᲐᲓᲘ. ინდოეთმა და პაკისტანმა დადეს შეთანხმება ინდოეთ-პაკისტანის საზღვრიდან ჯარების ერთობლივი გაყვანის თაობაზე. მორიგების თანახმად, რომელსაც მიაღწიეს აქ დამთავრებული მოლაპარაკების მეორე რაუნდის დროს, ჯარის ყველა ქვეგანაყოფს დასახლებული პუნქტების ჩჰორ-პაკისტან-ბარმერ-ინდოეთის სამხრეთით მდებარე სექტორიდან 5 დღის განმავლობაში დაბრუნებენ ბაზებში, სადაც ისინი მშვიდობიანობის დროს იყვნენ განლაგებული. ჯარების გაყვანას — ვაკონტროლებენ ორივე ქვეყნის სამხედრო მეთვალყურეები. ამ თვეში ინდოეთში გაგრძელდება აგრეთვე მოლაპარაკება პაკისტან-ინდოეთის საზღვარზე დაძაბულობის შემდგომი შენელების შესახებ.

ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას ახასიათებენ, როგორც საბჭოთა კავშირის იმ ნების დამაჯერებელ დემონსტრაციას, რომ გადაჭრას ბირთვული განიარაღების პრობლემა. ახალი საბჭოთა ინიციატივა, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყნისა და ხალხის საარსებო ინტერესებს, ხაზგასმით აღნიშნავს პრესა, განუყოფელი ნაწილია ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის ისტორიული პროგრამისა, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ წამოყენებულ წინადადებას იმის შესახებ, რომ ევროპაში საშუალო სიმაღლის რაკეტების შეიარაღების საკითხი განიხილონ ცალკე შეიარაღების შემცირების დანარჩენი პრობლემებისაგან, მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მრავალმა წევრმა, ფართო საზოგადოებრიობამ. „საბჭოთა ხელმძღვანელის წინადადება საბავს მეტად პერსპექტიულ შესაძლებლობას“ — განაცხადა ენ-ბი-სი ტელეკომპანიის ახალი ამბების პროგრამაში დემოკრატმა კონგრესმენმა ლი ჰამილტონმა. „პოზიტიური ნაბიჯი“ უწოდა საბჭოთა წინადადებას რესპუბლიკელმა სენატორმა კოლმა. დემოკრატმა სენატორმა ალბერტ გორმა იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „საბჭოთა წინადადება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც უმჯობესებს საშუალო სიმაღლის რაკეტების თაობაზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობებს. ეს ნაბიჯი ახალ სტიმულს მისცემს განიარაღების შესახებ სხვა მოლაპარაკებასაც.

ᲝᲢᲐᲕᲐ. კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოზეფ კლარკმა განაცხადა: კანადა აქტიურად უჭერს მხარს იდეას, რომ საშუალო სიმაღლის ბირთვული იარაღის შეჯახებ შეთანხმება არ იყოს დამოკიდებული სტრატეგიული შეიარაღებისა და თავდაცვის სისტემების შესახებ შეთანხმებაზე. მინისტრის აზრით, ევროპაში საშუალო სიმაღლის რაკეტების შესახებ შეთანხმების დაუყოვნებელი მიღწევა ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას და მნიშვნელოვან იმპულსს მიანიჭებს შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ სხვა მოლაპარაკებას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უპირველესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება უწოდა სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივას დიდი ბრიტანეთის ლიბერალური პარტიის ლიდერმა სტილმა. ეს უაღრესად სერიოზული წინადადება სხვა რეაქციას იმსახურებს, ვიდრე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრადიციულ ორჭოფულ პასუხს საბჭოთა კავშირის წინა ინიციატივებზე, ხაზგასმით აღნიშნა მან. ფრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი მოვალეა დაუყოვნებლივ გასცეს პოზიტიური პასუხი მოსკოვის წინადადებას. ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ოუენმა ახალ საბჭოთა წინადადებას „შესანიშნავი ახალი ამბავი“ უწოდა. მან განაცხადა, რომ შეიარაღებისადმი კონტროლის პრობლემის გადაწყვეტისათვის შექმნილი სასიკეთო კლიმატი არ უნდა მოშალოს იმ ცდებმა, რომ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა დაჩქარდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ეგრეთწოდებული „ფართო ინტერპრეტაციის“ თავსმოხვევის გზით.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ. შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ინგვარ კარლსონმა, ქალაქ ლინჩეპინგის უნივერსიტეტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ახალი ინიციატივა განიარაღების საქმეში მტკიცე შემობრუნების იმედს სახავს. ვიმედოვნებ, თქვა მან, რომ ეს ინიციატივა კონკრეტულ შედეგებს მოგვიტანს.

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმან-ენსენმა აღნიშნა: მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ გზა გაუკვალა იმას, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა შეძლონ დაიწყონ კონსტრუქციული მოლაპარაკება შეთანხმების დეტალური ტექსტის შესახებ, რომელმაც აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს შემოწმების ღონისძიებანი“. სსრ კავშირის ინიციატივა, თქვა მან, უნდა მივიჩნიოთ „კარგ და პოზიტიურ სიგნალად“.

ᲝᲡᲚᲝ. „საბჭოთა ინიციატივები ფრთებს გვასხამს“, — განაცხადა ნორეგიის თავდაცვის მინისტრმა ჰოლსტმა, რომელიც ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებს. ევროპაში საშუალო სიმორის ყველა რაკეტის ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების დადება, თქვა მან, მთლიანად შეესაბამება ნორვეგიის მთავრობის პოზიციას იმ სიტუაციაში, რომელიც ახლა იქმნება. სასიხარულოა, რომ სსრ კავშირმა საშუალო სიმორის რაკეტების პრობლემა გამოყო იმ საკითხთა ბლოკიდან, რომელთა გამო წარმოიქმნა მოლაპარაკება ჟენევაში და, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სწრაფად დაიდება შეთანხმება.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ნატოს გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, რომ ნატოში „დადებითად აღიქვეს საბჭოთა წინადადება მიაღწიონ ცალკე შეთანხმებას ევროპაში საშუალო სიმორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ“.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე საბჭოთა მხარის წინადადებით გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ამა წლის 28 თებერვლის განცხადების შესაბამისად, შეიტანა წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებს ევროპაში საშუალო სიმორის რაკეტების მოსპობის პრობლემის საკითხთა ბლოკისაგან გამოყოფას და მის თაობაზე ცალკე შეთანხმების დაუყოვნებლივ დადებას.

ᲓᲐᲕᲡᲐᲮᲝᲗ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲣᲛᲘᲛᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲗᲐᲜ

2 ᲛᲐᲠᲢᲘ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 28 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. ბესმერტნიხი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების პრობლემათა სამმართველოს უფროსი ვ. პ. კარპოვი.

განცხადება გააკეთა ა. ა. ბესმერტნიხმა, რომელმაც თქვა: საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო კარდინალური მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომლის მიზანია შემჭიდროებულ ვადებში გადადგან რეალური ნაბიჯი ბირთვული შეიარაღებისაგან ევროპის სრული განთავისუფლების გზაზე. 28 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვმა გამოაცხადა საბჭოთა კავშირის ახალი დიდი ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებებზე საქმის მტკიცე წინ წაწევას. სსრ კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს სთავაზობს:

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲓᲐᲓᲝᲗ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ევროპაში საშუალო სიმორის რაკეტების სრული ლიკვიდაციისა და მათი მკვეთრი — სსრ კავშირის აზიურ ნაწილში და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ტერიტორიაზე 100 საბრძოლო ერთეულამდე შემცირების შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს პრობლემა გამოიყოფა ჟენევის მოლაპარაკებაზე განსახილველი საკითხების ბლოკიდან;

მეორე, შაშინვე შეუდგნენ მოლაპარაკებას ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტების შესახებ იმ მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნით, რომ **შეამცირონ და მთლიანად მოსპონ** ამ კლასის რაკეტები.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ამ ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმებით გამოიყვანს გადიდებული სიმორის ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს, **როგორც კი ხელს მოაწერენ** შეთანხმებას ევროპაში საშუალო სიმორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. როგორც ცნობილია, აღნიშნული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები ჩვენს მოკავშირე ქვეყნებში განლაგებულია როგორც დასავლეთ ევროპაში ამერიკის „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების გამო საპასუხო ღონისძიება.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოკავშირეების უშიშროების, ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესების გათვალისწინებით სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ კვლავ ცხადყო თავისი პოლიტიკური ნება ნამდვილად მიაღწიოს ბირთვულ განიარაღებას, გამოავლინა მსოფლიოს ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობა.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ბოლოს და ბოლოს ამერიკის ხელმძღვანელობაც ჩაებმება ამ სამშვიდობო წამოწყებაში — მოვილაპარაკოთ ხალხების უშიშროებაზე, მათ შორის ამერიკის უშიშროებაზე, და, დაზოგავს რა ძალებს, რომლებსაც მოლაპარაკებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნას, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ფსევდოგაგების გარშემო სჭოლაქტიკას ახმარს, ნამდვილ საქმეს მოჰკიდებს ხელს. მსოფლიოს გარდამტები მომენტი დაუდგა, ადამიანთა შიში ძლიერდება, და დროა შეწყდეს ინტრიგები ბირთვული განიარაღების გარშემო.

საბჭოთა მხარე ხელმძღვანელობს იმით, რომ ბირთვული განიარაღება სავსებით რეალური პოლიტიკაა. ეს ცხადყო რეიკიავიკმა.

ისლანდიაში გამართულმა შეხვედრამ გაწმინდა ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლის გზა, გაათავისუფლა მოლაპარაკება დაგროვილი კერძო საკითხებისაგან და მიდგომის სტერეოტიპებისაგან, ფართოდ გააღო ახალი ეპოქის კარი. მაგრამ ამერიკის ხელმძღვანელობა ზღურბლთან შეჩერდა, უკან დაიხია.

ამის შემდეგ გამართულ მოლაპარაკების რაუნდებზე ვიცავდით და ვიცავთ შესაძლებლობას საკითხთა მთელი წრე — კოსმოსი, სტრატეგიულ-შეტევითი შეიარაღება, საშუალო სიმორის რაკეტები, ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტა — გადავწყვიტოთ კომპლექსურად, და ამით უზრუნველვყოთ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ჰარმონიული პროცესი სამხედრო კონფრონტაციის თანდათან კლებად დონეებზე.

ამ მიდგომას დღესაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ამავე დროს, გაითვალისწინა რა, რომ ჟენევის მოლაპარაკებას შეექმნა საფრთხე ამერიკის მხარის პოზიციის გამო კვლავ მოექცეს ჩიხში, სსრ კავშირმა საჭიროდ მიიჩნია, რომ საშუალო სიმორის რაკეტების საკითხი უპირველესად გადაწყვიტონ. თანაც ყველაზე ადვილად შეიძლება იგი დღეს გადაწყდეს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა ჯერ კიდევ გასული წლის 17 ოქტომბერს განაცხადა: „არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომლებიც ხელს შეგვიშლის იმის საფუძველზე, რაც ერთმანეთს უთხრეს ხელმძღვანელებმა, მივაღწიოთ კომპეტენტურ მორიგებას შუალედური სიმორის ბირთვული ძალების დარგში“. რაკი არ არის, შეთანხმების არდადების არავითარი მიზეზი, მაშასადამე, უნდა დავდოთ იგი, ამასთან დაუყოვნებლივ.

საბჭოთა წინადადება ამის პრაგმატურ შანსს იძლევა, რადგან ითვალისწინებს იმ გარემოებას, რაც რეიგიავიკის შემდეგ გვითხრეს, თითქოს საშუალო სიმორის რაკეტების პრობლემის შეტანა ჟენევის მოლაპარაკებაზე ამაცალთა ერთიან კომპლექსში აძნელებს მორიგებას, რა გაეწყობა, იმათ, ვინც ასე ფიქრობდა, — ეს ხმები გვესმოდა ჩვენ ვაშინგტონიდან და ევროპის დედაქალაქებიდან, — **უნდა გვიჩვენონ ახლა, რომ გულწრფელად ხურდათ საქმე წარემართათ შეთანხმებისაკენ.**

საშუალო სიმორის რაკეტების შესახებ საბჭოთა წინადადება ჩრდილში არ აქცევს და მით უმეტეს დღის წესრიგიდან არ ხსნის სტრატეგიული შეიარაღების არსებითი შემცირებისა, შემდეგ კი მისი ლიკვიდაციის საკითხს. ამის შესახებ შეთანხმება შესაძლებელი იქნება, თუ გადაწყდება, არ დაუშვან იარაღის განლაგება კოსმოსში, ამ საკითხთა ორგანული კავშირის გამო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეერთებული შტატები კონკრეტულ დადებით პასუხს გასცემს ჩვენს წინადადებას საშუალო სიმორის რაკეტების შესახებ.

ჩვენ ვხედავთ ამის, თქვა დასასრულ ა. ა. ბესმერტნიხმა, რომ სსრ კავშირის მიერ წამოყენებული ახალი მნიშვნელოვანი ინიციატივა სტიმულს მისცემს ამერიკის შეერთებულ შტატებს შემხვედრი კონსტრუქციული ღონისძიებანი განახორციელოს ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების მთელი კომპლექსის მიხედვით.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲜ).

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲘᲢᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ

ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ნიკარაგუაში შეინარჩუნოს კონფლიქტური სიტუაცია. მიმართავს რა უხეში ზემოქმედების იმავე პოლიტიკას, რომელსაც ხმარცხვინო ომი მოჰყვა ვიეტნამში (სრული კრახით რომ დამთავრდა), ვაშინგტონი იმედს ამყარებს ცენტრალური ამერიკის პრობლემის სამხედრო გადაწყვეტაზე, ქვეყნის ტერიტორიაზე აგზავნის სომოსელ დაქირავებულთა ბანდებს რევოლუციური რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის გასაჩაღებლად, ნიკარაგუელი მოქალაქეების მოსაკლავად. უგულებელყოფს რა ჰაგაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც მოითხოვა ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტა. თეთრმა სახლმა კონგრესს მიაღებინა გადაწყვეტილება „კონტრასებისათვის“ ახალ მრავალმილიონიან ასიგნებათა გამოყოფის შესახებ. პენტაგონმა ნიკარაგუის მოსაზღვრე ჰონდურასი ფაქტობრივად ცენტრალურ ამერიკაში მუდმივ სამხედრო პლაცდარმად, პროგრესული რეჟიმების, უწინარესად, სანდინისტური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ბურჯად აქცია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: „კონტრასები“ ჰონდურასის ტერიტორიაზე; ასეთივე არამშვიდების საფლავები ვიეტნამის მიწა-წყალზე.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

◆ **ᲢᲝᲙᲘᲝ.** როგორც სამხრეთ კორეიდან იტყობინებიან, ჩონ დუ ხვანის რეჟიმმა 120 000 პოლიციელი საბრძოლველად გაამზადა. მარტო სეულში, პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები, რომელშიც 30 ათასი კაცია, მზად არიან ჩაახშონ სამშაბათისათვის დანიშნული დემოკრატიული საზოგადოებრიობის გამოსვლები.

◆ **ᲕᲔᲜᲐ.** რამდენიმე ავტომანქანა ჩამარხა ზვავმა ავსტრიის აღპებში ტიროლის დაბებს სანდ-ქრისტოფსა და სანკტ-ანტონს შორის. პოლიცია და არმიის ქვეგანაყოფები ეძებენ ადამიანებს, რადგან იმედი აქვთ, რომ კიდევ შეიძლება მათი გადარჩენა.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲨᲔᲢᲐᲪᲐᲚᲔᲑᲐ ᲚᲝᲛᲘᲗᲐᲜ

ᲜᲐᲜᲘᲠᲝᲑᲘ. იმ დილით მდინარე ტანის ნაპირზე მდებარე სოფელ ბარამბის მცხოვრები ახდი ბახანი მდინარეზე წყლის მოსატანად წავიდა. იგი ვედროებს წყლით ავსებდა, როცა ბუჩქნარიდან გამომავალი ლომი დაინახა. ბახანი არ დაიბნა და ცარიელი ვედრო მხეცს ესროლა. მაგრამ ამან მტაცებელი ვერ დააფრთხო და იგი გლეხს ეცა, წაიკცა და ეშვები მხარში ჩაავლო. ზურგით დაცემულმა ბახანმა იმარჯვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ლომს ყელში ხელები წაუჭირა. მოფლოდნელმა ტკივილმა მტაცებელი შეაშინა და ღრიალით ბუჩქნარში გაუჩინარდა.

გლეხი ადგილობრივ საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და ჭრილობები გაუკერეს. „ლომების რისხვა“ — ასე უწოდებენ ახლა ბახანს თანასოფლელები.

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲡ

ᲓᲘᲓᲗᲝᲕᲚᲝᲑᲐ, ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ

„ არსად და ყველგან. არასდროს და ყოველთვის...“

საუბარი კინორეჟისორ თენგიზ აბულაძესთან, ფილმ „მონანიების“ ავტორთან

—ბატონო თენგიზ, შეიძლება თუ არა თქვენს ფილმში მსახიობ ავთანდილ მახარაძის მიერ შექმნილ დიქტატორ ვარლამის სახე მივიჩნიოთ განზოგადებულ სახედ, ტოტალური მბრძანებლის რაღაც „მოდელად“?

თუ, რამდენადაც ვარლამს აქვს ქართული გვარი — არავიძე — და ფილმის სიუჟეტით მოცემულია ერთი ქართული ოჯახის სამი თაობის (მამა, შვილი, შვილიშვილი) ამბავი, აქ უფრო მნიშვნელოვანია ისტორიული და ეროვნული კონკრეტულობა, ცხოვრებისეული პორტრეტები?

თენგიზ აბულაძე. „არავიძე“ ჩვენი გამოგონილი გვარია, სინამდვილეში ასეთი ქართული გვარი არ არსებობს. „არავიძე“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „არავინ“. ვარლამი — არავინ... ნერონიდან მოყოლებული მმართველებს, რომელთა ხელშია შეუზღუდველი ძალაუფლება, შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ ამ სახელზე. ეს ყველა დროისა და ყველა ხალხს არამზადათა და დიქტატორთა კრებითი სახეა. მსახიობმა ჭეშმარიტად „ბოროტების ნიღაბი“ შექმნა.

— უკიდურესი განზოგადებისადმი ამ მისწრაფებასთან ხომ არ არის დაკავშირებული დროის ძვრები, ისტორიული ნიშნების გადაადგილება-გადანაცვლება, ერთი დროის ფენის მეორეზე „დადება“, რაზეც „მონანიებაში“ რეცენზენტები წერენ და გაცხოველებით კამათობენ მაყურებლები? აი, მაგალითად, ყველაზე აშკარა: თანამედროვე მოდურ კოსტუმებში გამოწყობილი პერსონაჟები და გვერდით ჯავშნიანი და ალებარდიანი ჩაფრები; ავტომობილები — და იქვე ძველებური ეტლები. ხოლო სასამართლოს სცენებში კანონის მსახურნი შუა საუკუნეების მანტიებში გამოწყობილან, აი, პროკუროორი კი გამუდმებით ხელში ათამაშებს ოფიცრის კუბურას.

თ. ჯ. დიახ, რა თქმა უნდა, ეს შეგნებულად არის გაკეთებული. მაგრამ განა პირველად! გაიხსენეთ რენესანსის მთელი ეპოქაპული ხელოვნება, ბაროკო, იტალიაში, ჰოლანდიაში გადატანილი ბიბლიური სიუჟეტები. თავდაპირველი ჩანაფიქრით სასამართლოს დარბაზში, სადაც ქეთევან ბარათელის პროცესი მიმდინარეობს, იყვნენ აგრეთვე ადამი და ევა, ჩვენი წინაპრები, იმ კოსტუმებში, რომლებიც მათთვის ჩვეული იყო. ისინი მარტო „ნიშნები“ კი არ იყვნენ, მოქმედებაში ერეოდნენ: მათს იქ ყოფნას ხაზი უნდა გაესვა, რომ დრამები და ტრაგედიები, რომლებიც ფილმში ვითარდება, ძველისძველია, ხდება (ალ, ეშოში, მოხდება!) ყოველთვის, ასე ვთქვათ, შეცოდებიდან მოყოლებული. ადამი და ევა მხოლოდ იმის გამო ამოვჭერით, რომ სურათის მეტრაჟი განუზომლად იზრდებოდა.

სად ხდება მოქმედება? არსად და ყველგან. არასდროს და ყოველთვის. აი საიდან მომდინარეობს ყოფითი „ნიშნების“ შეგნებული „შეუთავსებლობაც“ და ვარლამის სახის მაქსიმალური განზოგადებაც. ამავე დროს, რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, რაც უფრო მეტად განზოგადებ, მით უფრო კონკრეტულად აღიქმება სახე.

— მაგრამ მე ვფიქრობ, საქმე ეხება არა თქვენს სურვილს, რომ მოახდინოთ ეკრანზე გამოსახული აბსტრაქტირება, განაცალკევოთ იგი ცხოვრების რეალური მოვლენებისაგან, მსოფლიოს ისტორიული წარსულის იმ საშინელი უბედურებებისაგან, რომლებთანაც ანგარიშსწორებამაც გამოიწვია „მონანიების“ დაუნდობელი, მკაცრი და ამავე დროს შექმომფინარი სამართლე. სწორედ უდავო სიმართლე ფანტასტიკის სამოსელში.

თ. ჯ. ბოროტება, ხელისუფლების სათავეში რომ მოექცა, ჩახია. სოციალური ბოროტება იმდენად დამანგრეველია, რომ შეუძლია თავისი თავი დასაჯოს, — აი ფილმის ერთ-ერთი მთავარი თემა. „ვარლამის დრო“ თავისთავად იმდენად აბსტრაქტული, რომ ეკრანზე მისი გადმოცემა შეიძლებოდა მხოლოდ იგივე აბსურდის, გროტესკის, სიურრეალიზმის, ფანტასტიკის გამომსახველი საშუალებების მეშვეობით, მაგრამ არა რეალისტური კინოს საშუალებებით.

— როგორ განსაზღვრავდით ფილმის ჟანრს?

თ. ჯ. ვფიქრობ: „სევდიანი ფანტასმაგორია“, „გროტესკული ტრაგიკომედია“ ანდა, იქნებ, „ლირიკული ტრაგიფარსი“.

— მაგრამ აქ ხომ მრავლად არის ეფსცენტრიკაც და კომიზმიც, სატირა, არა? ვთქვათ, თვით სიუჟეტური განზრახვა — ვარლამის გვამის ამოთხრა — გმირი ქალის მიერ არეული შურისძიების ესოდენ ფანტასტიკური და უცნაური ხერხით? ქეთევანი შურს იძიებს ტერორის ხანაში ბოროტი მმართველის წყალობით დაღუპული თავისი მშობლებისათვის, თავისი საკუთარი გაუბედურებული ცხოვრებისათვის. მას მიიჩნია, რომ ვარლამი არ არის ღირსი მიწაში იწვეს, მისი დამარხვა უკვე იმას ნიშნავს, რომ აპატე. აი, რატომაც მიდის ღამღამობით ნიჩბით შურისმაძიებელი საფლავზე. დამეთანხმებით, რომ ფრიად ახირებული და უჩვეულო მოტივია.

თ. ჯ. და მაინც, სიუჟეტს ბიძგი მისცა სავსებით რეალურმა ფაქტმა: სამეგრელოს სოფელში ვიღაცამ ამოთხარა ის-ის იყო დაკრძალული მიცვალებული და მისი ნათესავების სახლის ჭიშკართან ააყუდა, რა საშინელი დანაშაული უნდა ჩაედინა ამ განსვენებულს, რომ თანასოფლელებს ასეთი რამ ჩაედინათ!..

— მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ხერხია, კვანძია, შემდეგ კი თითქოსდა „უკუსვლით“ დატრიალდება ვარლამის დანაშაულის, მისი დიქტატორული რეჟიმის — უკანონობის, უდანაშაულთა რეპრესიებისა და დაპატიმრების, ხელოვანთა ჩაგვრისა და დევნის — ამბავი. როდის დაგებადათ ამ ფილმის შექმნის იდეა?

თ. ჯ. ვგონებ, ქვეშეცნობილად დამებადა ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ, როცა მუშაობა დავიწყე ჩემი კინოტრილოგიის პირველ ნაწილზე — ფილმზე „ვედრება“, რომელიც დაიდგა ქართველი კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას პოემებისა და ფილოსოფიური მინიატიურების მიხედვით. ფილმი „ვედრება“ 1968 წელს გამოვიდა, ახლახან, მრავალი წლის შემდეგ, იგი ისევ ვნახე. და ჩემი ნება რომ ყოფილ, დღეს ტრილოგიას ასეთი თანამიმდევრობით ვუჩვენებდი: ჯერ — „ნატვრის ხეს“ (იგი 1977 წელს გადავიღე), მერე — „მონანიებას“ და შემდეგ როგორც ფინალს — „ვედრებას“, იმდენად თანამედროვედ ღღერს ეს ფილმი.

იქ ლაპარაკია მტრობისა და უნდობლობის საშიშროებაზე, დამღუპველობაზე. ბოროტების სათავეებს, ცრურწმენებისა და ჩამორჩენილობის დამღუპველ ძალაზე. პოეტი ეკედრება ღმერთს: „გონებას ფიქრი სტანჯავდეს, გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი, მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...“ „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსება“ თემა სევდაა დაკარგული ჰარმონიის გამო, ადამიანის ბუნებაში დასაბამიდან ჩაქსოვილი ჰარმონიის აღდგენაა.

— ალბათ, ეს თემა გადადის ტრილოგიის ფინალურ ნაწილშიც? როდის დაიწყეთ მუშაობა „მონანიებაზე“? როგორ იღებდით ამ ფილმს?

თ. ჯ. სცენარზე მუშაობა დაიწყო 1981 წელს და 1982 წლის დამლევს დამთავრდა. ფილმი კი ფაქტობრივად ხუთ თვეში გადაიღეთ. 1984 წლის დეკემბერში იგი ჩავაბარეთ — სწორედ ასეა დათარიღებული „მონანიება“ ტიტრებში: „ქართული ფილმი“, 1984.

ვიღებდით სწრაფად, ერთი სულის ამოთქმით. ბევრი რამ იბადებოდა პირდაპირ გადასაღებ მოედანზე იმპროვიზებულად. შესანიშნავი ამხანაგები და კოლეგები მყავდა. მსახიობთა ნიჭიერი ჯგუფი, ოპერატორი, რომელიც მოსკოველად მოვიწვიე, მიხეილ აგრანოვიჩი, დიდი პროფესიონალი, გულისხმიერი ხელოვანი და შესანიშნავი მეგობარი; სცენოგრაფი გიორგი მიქელაძე, რომელზეც ჩვენთან, თბილისში ყველა დამდგმელი რეჟისორი „ნადირობს“. არ შემიძლია არ აღვნიშნო მხატვარ-გრიმიორი გ. ბარნაბიშვილი — სწორედ მან შექმნა ვარლამის ნიღაბი და მსახიობ მახარაძის მეორე როლის — აბელის როლის გრიმი. საკმარისია ითქვას, რომ ფინალში არ არის არც ერთი სპეციალურად აგებული დეკორაცია. ყველაფერი ნატურა და ბუნებრივი ინტერიერებია.

— რკინიგზის სადგურის სცენა, რომელიც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე — იქ, სადაც ქალები ეძებენ ტაიგიდან ჩამრტანილ მორეზზე თავიანთი ნათესავების, პოლიტიკურ გადასახლებულთა სახელებს?

თ. ჯ. ამ სცენას ვიღებდით ბათუმში გვიან შემოდგომაზე. რკინიგზასთან პირდაპირ ქალაქში, ზღვის მახლობლად. ჩავიწერეთ ნატურალური ხმაური, თვლების რაკარუკი, ღრჭიალი, ყეფა, ხმები, ნაბიჯების ხმა. მაგრამ კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, გადაღებული სცენა რომ ნახა, თქვა: „მე მაქვს მუსიკა, იქნებ გამოგადგეთ“. და მოგვცა ფირი. რა არის ეს — მუსიკა? მუსიკალური ხმაური? ქვენესა? სწორედ ეს ისმის ახლა მორეზის სცენაში, ხოლო წინათ ჩაწერილი ტექსტი დავაბეთ — ისედაც ყველაფერი გასაგებია.

— იდუმალი ინსტრუმენტების უცნაური ღღერადობა მუსიკას ანიჭებს სცენის საოცარ განწყობილებას, სიზმარ-მოგონების რაღაც ირეალობას.

მაგრამ ნუთუ ისეთი დასადგმელი „კომპლექსებიც“, როგორიც არის, ვთქვათ, მხატვარ სანდრო ბარათელის სახლი ან ყოველდ წმინდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც განლაგებულია მაღალი სიხშირის ხელსაწყოები, — დეკორაცია კი არა, ნატურაა?

თ. ჯ. რა თქმა უნდა! ბარათელის სახლი შესანიშნავი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის მუზეუმ-ბინაა თბილისში. ტაძარი, რომლის აგება დათარიღებულია VI საუკუნით (ფრესკები მოგვიანო ხანისაა), დღესაც ნამდვილად არსებობს ქალაქ ბათუმში.

ამასთან დაკავშირებით — ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტი. ტაძრის სცენაში, როგორც ალბათ, გახსოვთ, რადიოთი გაისმის ალბერტ აინშტაინის სიკვდილისწინა ინტერვიუ, რომელიც შეგვიძლია დიდი მეცნიერის ანდერძად მივიჩნიოთ. მთავრდება თუ არა გადაცემა, უპაუზოდ რადიოთი გადასცემენ მსუბუქი მუსიკის კონცერტს — ასეთი მუსიკა ხელს გიშლის იფიქრო. აინშტაინის ანდერძის კითხვის წინ კი, რომლითაც ციმბირი კაცობრიობას აფრთხილებს, ატომური კატასტროფა მსოფლიოს დაღუპავსო, ეკლესიაში განლაგებულ უზარმაზარ ნაგებობებსა და ტექნიკური ესთეტიკის ნიმუშებს შორის ჩვენ ვამჩნევთ კედელ ერთ ფიგურას — ბოსხიდან: სწრაფად ჩაიცლის მწვანე-ცისფერკაბიანი ქალი. იგი მეთორეს გრძელ კუდს, თავზე სქელტანიანი წიგნი ადევს, წიგნზე ზის ვირთაგვა. ეს სახეა მეცნიერისა, რომელიც საკუთარ თავს ჭამს. ის, ვინც სხვას ჭამს, საკუთარ თავს ჭამს. ეს ჩემთვის ფილმის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი თემაა: გაფრთხილება.

კუდიანი ქალ-ვირთაგვის სახეს სხვა აზრიც აქვს: ქართული ანდაზაა — მიტოვებულ ტაძარს ეშმაკები დაეპატრონენო...

ყველა ეს სახე უბრალოდ გროტესკი კი სიურრეალიზმი კი არა, შინაარსის ელემენტებია. სხვაგვარად ვერ გადმოვცემდი ფილმში „ვარლამის ეპოქის“ აბსურდულ სინამდვილეს. ვთქვათ, როგორ გადავიღებდი ვარლამის „უწყებაში“ მხატვარ სანდროს დაკითხვის ფანტასტიკურ, თითქმის დაუჯერებელ სცენას, რომ არ ყოფილიყო თეთრი როიალი, მენდელსონის საკრავწყლო მარში, მართლმსაჯულების ღვთაება თემიდა ლამაზი ქალის სახით, ხელში სასწორი რომ უჭირავს და თვალგახვეულია? როგორ ჩასწვდე დღევანდელი მაყურებელი და როგორ ვუჩვენოთ მას „ვარლამიზმის“ ის აბსურდი, როცა ვაჟკაცი და პატიოსანი მოქალაქე მიხეილ კორიშელი შემზარავ ცილს სწამებს თავის თავს: აღიარებს, რომ იყო „პონტოსის აგენტი“, მიიღო დავალება „გაეთბარა გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე“, ხელმძღვანელობდა „ხალხის მტრების“ მრავალათასიან ორგანიზაციას? აბსურდული, ფანტასტიკური სინამდვილე გამოხატვის შესაბამის საშუალებებს მოითხოვს.

— „მონანიება“ დედაქალაქის ეკრანზე ისეთი მზრდი, მე ვიტყოდი, მძაფრი წარმატებით მიდის, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეტყობა, ფილმის პრობლემატიკა, მასში მოცემული სოციალური და ზნეობრივი შინაარსი, მოქალაქეობრივი პათოსი ზედგამოჭრილია დღეისათვის. ფილმ „მონანიების“ გამოსვლა საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა აღიქვეს როგორც ჩვენს საზოგადოებაში, კულტურაში, კინემატოგრაფში უკვე მოახდარი და ამყამად მიმდინარე ცხოველმყოფელი ცვლილებების, განახლების ღრმად დამაიმედებელი დადასტურება. მაგრამ მაინც არიან ისეთი მაყურებლები, რომლებიც ამბობენ: „რა საჭიროა წარსულის ქექვა“, აქაოდა, „რაც იყო, აღარ არის და დავიწყებას მიეცეთ“. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

თ. ჯ. ამას ვუპასუხებდი ლევ ტოლსტოის სიტყვებით მისი სტატიიდან „ნიკოლაზ პალკინი“: „როგორ თუ არ მოვიხსენიო? თუკი ულმობელი ან საშიში სენი მჭირდა და მე განვიკურნე ან დავძლიე, ყოველთვის სიხარულით მოვიხსენიებ. არ მოვიხსენიებ მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფობ და იმედ ისე ავად ვარ, უფრო უარესად, და მინდა თავი მოვიტყუო“.

— საქართველოს კინოთეატრში და ტელეეკრანებზე „მონანიების“ დემონსტრაციის შემდეგ, მოსკოვის პრემიერის შემდეგ, ალბათ, იქნება პრემიერები სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში, საზღვარგარეთ?

თ. ჯ. ალბათ.

— ჩვენ ისე ვხარობდით, როცა პრემიები დაიმსახურა ტრილოგიის პირველმა ორმა ფილმმა: „ვედრებამ“ — სან-რემოს საერთაშორისო ფესტივალზე (გრან პრი), „ნატვრის ხემ“ — იტალიის პრემია „ნატალელოს „დავითი“. ამბობენ, „მონანიებას“ კანის ფესტივალზე უჩვენებენო?

თ. ჯ. იმედი გვაქვს. ახლა ჩვენ ვამზადებთ ასლს საფრანგეთისათვის. იქ კინოსურათს უჩვენებენ ფრანგული სუბტიტრებით. გვინდა გვწამდეს, რომ ეს ფილმიც დაიმსახურებს მომთხოვნი უცხოელი მაყურებლის ყურადღებას.

— წარმატებებს გისურვებთ.

საუბარს უძღვებოდა
ნეა ზორკაია.
ჟურნალი „ნოვოე ვრემია“
№ 6, 1987 წ.

მდინარე ძირულის ხეობაში, იქ, სადაც რკინიგზა მიიკლაკნება, არც ერთი წუთით არ წყდება მუშაობა — გამძვინვარებულ ბუნებას ებრძვიან ხაშურის № 2 გვირაბ-ხიდების რაზმის მექანიზატორები. აქ, მოლით-წიფის გზის ურთულეს მონაკვეთზე, თებერვლის დამდეგს მთის ქანები ჩამოწვა.

რკინიგზელებმა ორგანიზებულობა და თავდადება დაუპირისპირეს სტიქიას. ოპერატიულად მოკლე ხანში მათ აღადგინეს 20-მეტრიანი დანგრეული დამცველი კედელი, რკინიგზის ლიანდაგის დიდი მონაკვეთი.

სურათებზე: ხაშურის № 2 გვირაბ-ხიდების რაზმის ბრიგადირი შალვა გელაშვილი და მძღოლი გიორგი ზუმბაძე; მთავრდება სარემონტო სამუშაოები.

3. ვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გვაგუყობინებენ ხელმძღვანელები

იმის შესახებ, თუ რა სამუშაოები წარმოებს სტიქიის მიერ დაზარალებულ რაიონებში, რა პრობლემები უნდა გადაიჭრას, გვიამბობენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

ბ. ე. სარალიძე, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი:

— სტიქიის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი მნიშვნელოვანწილად საავტომობილო გზებზე მოდის. წინასწარი მონაცემებით, დაზიანდა 1870 კილომეტრი სოგრძის გზები, რომელთაგან დაახლოებით 800 კილომეტრი საკავშირო დანიშნულებისაა. დანგრეულია საყრდენი კედლები, ბარიერები, ტრასების გასწვრივ განსაკუთრებით გაკეტილი ადგილები. ასე რომ, წელსაც და მომდევნო წლებშიც დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება მოგვიწევს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს. ახლა დასავლეთ საქართველოს რაიონებში მომუშავე და სამინისტროს საქროეკტო და კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტებით დაკომპლექტებული ბრიგადები მოსალოდნელი გაზაფხულის წყალდიდობისთვისაც ემზადებიან.

გვეხმარება სსრ კავშირის საერთაშორისო შშენებლობის სამინისტრო, დამატებით დიდი მოცულობის სამუშაოებს „შესასრულებენ ქალაქ თბილისის № 12 ხიდსაშენებელი ტრესტი, „საქმიდროენერგომშენის“, „ჰიდროსპეცმშენის“ ტრესტები. ზოგიერთი რაიონის ადგილობრივი გზების აღსადგენად გამოყოფილია სახსრები, რომლებსაც გამოვიყენებთ საკუთარი ძალებით სამუშაოთა გაზხორცეულებისას.

მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა აღვადგინოთ ცენტრალური სარაიონო გზების ასფალტის საფარი, ხოლო უახლოეს ორ წელიწადში დავამთავროთ ყველა სამუშაო. ამისათვის დასავლეთ საქართველოში ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები გადადიან ორცვლიან მუშაობაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ მხარეში ამოუდგებიან კოლეგები აღმოსავლეთ საქართველოდან. ჩვენ ძალზე გვჭირდება რეგიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მხარდაჭერა, ტრანსპორტის ზუსტი მუშაობა. ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული გამოყოფილი ტექნიკისა და მასალების დროულ მიღებაზე.

ეროვნულად დგას ინერტული მასალებით — ქვიშითა და ფრაქციული ღორღით უზრუნველყოფის პრობლემა. სტიქიით დაზარალებულ რაიონებში ბრიგადები „კარიერები წყლით გაივსო. მაშასადამე, საჭიროა გამოიყოს კარიერებისათვის ტერიტორიები უშუალოდ ჩვენი ორგანიზაციების დისლოკაციის ადგილებში.

აქ საჭიროა რაისაბჭოების აღმასკომების, ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოების დახმარება.

დახმარება შემოგვთავაზეს უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, სხვა მოძმე რესპუბლიკების საავტომობილო გზების სამინისტროებმა. ჩვენი სამინისტროო მადლიერებით 'იღებს ყველა ამ წინადადებას.

ნ. ნ. ნეფედოვი, საქართველოს სსრ სახინაოკომუნალური მეურნეობის მინისტრი.

— ჩვენს დარგში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა ღირებულება 21 მილიონ მანეთს აღემატება. ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ნორმალური ცხოვრება რესპუბლიკის სახმომარაგებ ი ს დიდი დახმარების მეოხებით დროებითი სქემების მიხედვით აღდგენილია ოპტიმალურად შემეწიერებულ ვადებში — დღეახვევარ-ორ დღეში. მაგრამ მომავალი დამატებითი სამუშაოების მოცულობა დიდია (დაახლოებით 10 მილიონი მანეთი) და ყველა ჩვენმა ქვეგანაყოფმა უნდა იმუშაოს სრული დაძაბვით, რათა უმოკლეს ვადაში ალადგინონ მწყობრიდან გამოსული კომუნალური ობიექტები.

სტიქიამ გამოავლინა ჩვენი საკუთარი ხარვეზებიც, ნაკლოვანებებიც, და ყველაფერი მას დავაბრალოთ სწორი არ იქნება. ჩვენ ახლა გამოგვაქვს შესაბამისი დასკვნები, ვიწერვით საპირო მუშაობას სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა როგორც საინჟინრო, ისე ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის, რათა ამგვარი საგანგებო მოვლენები მოუმზადებლებს არ დაგვატყდეს თავს. მრავალი წელის მანძილზე ყალიბდებოდა დისპროპორცია სახალხო მეურნეობის კომუნალური და სხვა დარგების განვითარებას შორის. ამის ერთ-ერთი მიზეზია კომუნალური ობიექტების შშენებლობისა და ამოქმედების ეტაპების ქრონიკული შეუსრულებლობა. მარტო ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში ვერ ავითვისეთ მრავალი მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდება. შარშან კი მშენებლობის სამინისტრომ და ავროშენებმა ვერ შეასრულეს დავალებანი ყოველ მეორე ობიექტზე, მათ შორის რვა წყალდიდობასაწინააღმდეგო და მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობაზე მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხიც.

მართლაც რომ დადგა დრო შეცვალონ დამოკიდებულება ამ დარგისადმი. არა მარტო მშენებლებმა, არამედ სხვებმაც — საგაგმო და საფინანსო ორგანოებმა, მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

სტიქიამ გამოავლინა ჩვენი საკუთარი ხარვეზებიც, ნაკლოვანებებიც, და ყველაფერი მას დავაბრალოთ სწორი არ იქნება. ჩვენ ახლა გამოგვაქვს შესაბამისი დასკვნები, ვიწერვით საპირო მუშაობას სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა როგორც საინჟინრო, ისე ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის, რათა ამგვარი საგანგებო მოვლენები მოუმზადებლებს არ დაგვატყდეს თავს. მრავალი წელის მანძილზე ყალიბდებოდა დისპროპორცია სახალხო მეურნეობის კომუნალური და სხვა დარგების განვითარებას შორის. ამის ერთ-ერთი მიზეზია კომუნალური ობიექტების შშენებლობისა და ამოქმედების ეტაპების ქრონიკული შეუსრულებლობა. მარტო ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში ვერ ავითვისეთ მრავალი მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდება. შარშან კი მშენებლობის სამინისტრომ და ავროშენებმა ვერ შეასრულეს დავალებანი ყოველ მეორე ობიექტზე, მათ შორის რვა წყალდიდობასაწინააღმდეგო და მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობაზე მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხიც.

მართლაც რომ დადგა დრო შეცვალონ დამოკიდებულება ამ დარგისადმი. არა მარტო მშენებლებმა, არამედ სხვებმაც — საგაგმო და საფინანსო ორგანოებმა, მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

სტიქიამ ნიშანაღმდეგ ბრძოლამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უნდა ვიმუშაოთ ორგანიზებულად, თავდადებით, ძალების სრული უკუგებით. თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა ასეთი მუშაობა ყოველდღიურ ნორმად ვაქციოთ.

(საქინფორმი).

„ დილას“ ფერწერა სამყარო

ეიპ მოთვლის, რამდენი სახალხო მიუნიჭებია პატარებისათვის ჟურნალ „დილას“ ილუსტრაციას, რა სითბოთი და სიყვარულით უტარებია ისინი ზოაპრების გასაოცარ სამყაროში. სწორედ ამ ჟურნალის მხატვართა ნამუშევრებს მასპინძლობს ამ დღეებში მხატვრის სახლის ერთ-ერთი საგამოფენო დარბაზი. ექსპოზიცია, რომელიც საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობას მიეძღვნა, ზღვა სითბოსა და სიხარულს სთავაზობს დიდსა თუ პატარას.

აქ წარმოდგენილია ომისშემდგომი პერიოდის „დილას“ მხატვრობა. დამთვალიერებელი კვლავ გაიხსენებს ნაცნობ „ილუსტრაციებს. ვის არ შეხვედებიან აქ ნორჩები: ი. გაბაშვილის ნაკარქეიანსა თუ ზ. ლეკვაოს ბაბუას და შვილიშვილს, თ. სამსონაძის ეპიგიბოლიტს, პატარა დინოზავრს, ხტუნია ბაჭიას. აქვეა ი. ქლიბაძის მიერ დასურათებული „ცაგამთვალინა“, შ. ცხადაძის — „თხა და ვეფხი“, „ბაჭიების სკოლა“; ზ. ფოჩრჩხიძის — „სამი მეზვიერის ზღაპარი“; ს. კინწურაშვილის — „თუთიყუშ ეკაოს თავგადასავალი“. პატარები გაეცნობიან აგრეთვე გ. როინიშვილის, ე. ამბოკაძის, თ. ხუციშვილის, ნ. ჭურღულიას, ლ. ლომთაძის, ლ. ტატიშვილის, ი. ფარჯიანის და სხვათა საინტერესო ნამუშევრებს.

ამ ჟურნალში არაერთ ჩვენს სასიქადულო მხატვარს უთანამშრომლია. ბავშვებისათვის ხატავდნენ ლადო გუდიაშვილი, სერგო ქობულაძე, იოსებ გაბაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, ზურაბ ნიკორაძე და სხვები. ბევრი მათგანის ნახატების მოძიება ვერ მოხერხდა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დამთვალიერებელი გამოფენაზე იხილავს ლადო გუდიაშვილის რამდენიმე ილუსტრაციას, შესანიშნავი სამაგვარო მხატვრის იოსებ გაბაშვილის ნაბუშევრებს („კომუნისტის“ კორ.).

ყაბალი

მოჭადრაკეთა რესპუბლიკური...

დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში იხსნება საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელიც ამავე დროს საკავშირო პირველობის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპია.

ტურნირში 18 მოჭადრაკე ჩაებმება, მათ შორის ორი საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუციშვილი და ალა ჩაიკოვსკაია; რვა ოსტატი: საქართველოს 1986 წლის ჩემპიონი ქეთევან მელაშვილი, ნინო მელაშვილი, ციური კობაძე (სამივე — თბილისი), თამილა მესხი, ჰენრიეტა ლაგვილავა (ორივე — ქუთაისი), ცაცა ქასოშვილი (გორი), მზია წერეთელი (მახარაძე) და საქართველოს 1986 წლის ჩემპიონი, სამტრედიელი 14 წლის სოფიკო ტერელაძე (საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატზ ორი გამარჯვებული ჰყავდა — ქეთევან მელაშვილი და სოფიკო ტერელაძე). მათ გარდა შეჯიბრებაში 8 ოსტატობის კანდიდატი ჩაებმება: მსოფლიოს ვიცეჩემპიონი უმცროსი ასაკის გოგონათა შორის ქეთინო კახიანი (გარდაბანი), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი უმცროსი ასაკის გოგონათა შორის 13 წლის სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი), თბილისის ჩემპიონი გიული ალიხანაშვილი, ლია სადუნიშვილი, ლელა თანდაშვილი, თამარ მახარაძე (ოთხივე — თბილისი), თეა ლანჩავა (ქუთაისი) და ქეთინო ხუციშვილი (გარდაბანი).

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. გუშინ თბილისის „დინამომ“ მორიგ კალენდარულ მატჩში უმასპინძლა ცსკას. დინამოელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 77:67.

ჩოგბურთი. ქალაქ კეი ბისკაინში (აშშ) მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე თბილისელმა ლეილა მესხმა და მინსკელმა ნატალია ზვერევამ საწყისი ეტაპის მატჩი მოუგეს ენი მინტერს (ავსტრალია) და მოლი ვან ნოსტრანდს (აშშ) — 6:2, 6:3, მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ და ლვოველმა ლარისა სავჩენკომ კი დაამარცხეს ჰიტერ კოოუვი და კიმ სტეინმეტცი (ორივე — აშშ) — 6:2, 6:1.

ფეხბურთი. სოჭის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ საწვრთნელი მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: პრუდნიკოვი, კეტაშვილი (ქუდია), სკლიარუნი, იაროვენკო, ლოსევი, კარატაევი, ტიშჩენკო (ბ. კუზნეცოვი), ვორობიოვი (ლენდელი), ბოროდიუკი, დობროვოლსკი, ბარანაუსკასი.

კალათბურთი ჟიდკობა. კიშინიოვში გამართულ იუნიორთა საკავშირო პირველობაზე კარგად იასპარეზა თბილისელმა თენგიზ თეოდორაძემ. მან მძიმე წონაში აჯობა მეტოქეებს და პირველ ადგილს დაეუფლა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. გუგუშვილის დაკრძალვის მომზადებელი კომისიისაგან

სამოძალაძო პანაშვიდი გიმართება 4 მარტს, 19 საათზე განსვენებულის ბინაში (შროშის ქ. № 2), 5 მარტს, 15 საათზე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

გამოსვენება 5 მარტს, 16 საათზე ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტიდან (მახარაძის ქ. №14).

დაკრძალვა — საბურთალოს სასზღვაო მოლვაწეთა ახალ პანთეონში.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი
და ტელეფონები
380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66,10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფილეტონის — 98-22-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-91, მეგობელთა წერილების — 98-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-83-10; ახალციხე—2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-86; თელავი — 8-12-89; წითელწყაროო — 23-66; ბაღდადი — 25-82.

თოვლი მშენებლებს ვერ